პრაქტიკული მითითება №5

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა და გენდერი

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი სასჯელაღსრულების რეფორმისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება სასჯელაღსრულების რეფორმაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები სასჯელაღსრულების რეფორმის შეფასებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი სასჯელაღსრულების სექტორის რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი სასჯელაღსრულების სექტორის რეფორმისთვის?

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა არის სამუშაო, რომელიც ხორციელდება სასჯელაღსრულების სისტემის შეცვლის მიზნით, რათა ის კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებს შეესაბამებოდეს. აღნიშნული რეფორმა მიმართულია სასჯელაღსრულების ისეთი ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, რომლებიც პროპორციული, არადისკრიმინაციული და რეაბილიტაციულია, ასევე მიმართულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გარდაქმნაზე ისეთ ადგილებად, სადაც პატივს სცემენ ადამიანის ღირსებას, ასევე იმის უზრუნველყოფაზე, რომ პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მათი კანონიერი იურიდიული უფლებები.[1]

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი" შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ*

---

[1] ქოილი, *ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მიდგომა საპყრობილეების მართვისადმი: სახელმძღვანელო სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის,* სასჯელაღსრულების სისტემის კვლევების საერთაშორისო ცენტრი: ლონდონი, 2002წ.

განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი“ *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

ადამიანის უფლებების სტანდარტები

- სასჯელაღსრულების დაწესებულებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რომლებიც მოითხოვენ, რომ ყველას, ვისაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, უნდა მოექცნენ „ადამიანურად და ადამიანის თანდაყოლილი ღირსების პატივისცემით“.
- უნდა ხდებოდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სექსუალური ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება, სასჯელაღსრულების პერსონალის მიერ ჩადენილი ამგვარი ძალადობის ჩათვლით.

სასჯელაღსრულების არადისკრიმინაციული პოლიტიკები

- იმის უზრუნველყოფა, რომ სასჯელაღსრულების სისტემის პოლიტიკები და პროცედურები ასახავენ და აკმაყოფილებენ მდედრობითი და მამრობითი სქესის პატიმრების, ახალგაზრდების, ბავშვებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების კონკრეტულ მოთხოვნილებებს.

პატიმართა რეაბილიტაცია

- იმის უზრუნველყოფა, რომ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინიციატივები აკმაყოფილებს და მოიცავს როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის პატიმართა მოთხოვნილებებს და შესაძლებლობებს, ასევე იმ საზოგადოების რეალურ პირობებს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, იმგვარად, რომ არ ხდებოდეს ღირსებისთვის ადვოკატირებული სტანდარტების უნივერსალურობის კომპრომეტირება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

- საზოგადოების უკეთესი ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მამაკაც და ქალ პატიმრებს შორის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრობლემების მოგვარებისა და მდედრობითი სქესის პატიმართათვის ადექვატური რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების მიწოდების გზით, მათი ჩათვლით, ვინც შესაძლოა ორსულად იყოს.

ჩანართი 1:

ჯანდაცვა პატიმართათვის

ინდოეთის სასჯელაღსრულების რეფორმისა და მართლმსაჯულების

ასოციაციამ (PRAJA) ერთკვირიანი „ჯანმრთელობის ბანაკების“ ორგანიზება განახორციელა ორ საპატიმროში – ჰიდერაბადსა და რაჯაჰმუნდრიში, იმ პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქალებზე მზრუნველობის ხელშეწყობა. „ჯანმრთელობის ბანაკები“ უზრუნველყოფდნენ შემდეგ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას საპატიმროებში მყოფი ქალებისა და ბავშვებისთვის: ზოგადი სამედიცინო ანალიზები და გასინჯვა, წნევის, გულმკერდის არის, კანის, სიმაღლის/წონის/ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩათვლით; სისხლის ანალიზი; სტომატოლოგიური შემოწმება; თვალების/ცხვირის/ყელის გასინჯვა; გინეკოლოგიური შემოწმება; დიეტური და სამედიცინო რეკომენდაციების გაწევა; პასუხის გაცემა შეკითხვებზე სხვა ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. PRAJA-ს „ჯანმრთელობის ბანაკების“ პროექტი ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ შეიძლება გამოვძებნოთ მეთოდები, ძალიან ღარიბ ქვეყანაშიც კი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ ძირითადი უფლებები, შეზღუდული რესურსების გამოყენების პირობებში.

სასჯელაღსრულების სექტორის თანამშრომელი მამაკაცებისა და ქალების მხარდაჭერა

- როგორც ქალების, ასევე მამაკაცების სრული მონაწილეობის ხელშეწყობა, სასჯელაღსრულების სექტორის თანამშრომელთა სტატუსით.
- ადექვატური პრევენცია და რეაგირება სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე სასჯელაღსრულების პერსონალს შორის.

შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირების ინიციატივა არა მარტო სამუშაო ეფექტურობის საკითხია; ის ასევე აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რომლებიც უსაფრთხოებასა და გენდერს ეხება. უმთავრესი ინსტრუმენტებია:

- *„კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“*(CEDAW, 1979)
- *პრინციპების ერთობლიობა ყველა იმ პირის დაცვისათვის, ვინც იმყოფება რაიმე სახით დაკავებულია ან პატიმრობაში იმყოფება (1988წ.)*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორ შეიძლება განხორციელდეს გენდერის ინტეგრირება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროცესში?

შეფასება

განახორციელეთ სასჯელაღსრულების სისტემის გენდერული შეფასება. დააჯგუფეთ მთელი მონაცემები (როგორც მინიმუმ) სქესის, ასაკის და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. შეფასებამ უნდა განიხილოს შემდეგი:

- შესაბამისი კანონმდებლობა
- სასჯელაღსრულების სისტემის პოლიტიკები და პროცედურები როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის პატიმრებისათვის
- იმ პროგრამებისა და მომსახურების სპექტრი, რომლებიც ხელმისაწვდომია მამაკაცებისა და ქალებისთვის
- ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა
- მონაცემები საპატიმროებში გენდერულ ნიადაგზე ძალადობის დონის შესახებ
- პარიტეტი სასჯელაღსრულების სისტემის მამრობითი და მდედრობითი სქესის პერსონალს შორის
- ქცევის კოდექსები, რომლებიც ძალაშია, რათა საპატიმროების პერსონალის ქცევა გაკონტროლდეს
- საჩივრებისა და ზედამხედველობის მექანიზმების არსებობა, რათა განხორციელდეს პოლიტიკებთან, პროცედურებსა და ქცევის კოდექსებთან შესაბამისობის მონიტორინგი

გენდერული საკითხებისადმი რეაგირების მაღალი დონის მქონე პოლიტიკები და პროცედურები

- სასჯელაღსრულების სისტემის პოლიტიკებისა და პროცედურების შეფასება გენდერული კუთხით, რათა დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ისინი პროპორციული და არადისკრიმინაციულია და როგორც ქალი, ასევე მამაკაცი პატიმრების საჭიროებებს აკმაყოფილებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ქალები არ განიცდიან დისკრიმინაციას წინასწარი პატიმრობის დროს, ან ადგილი არა აქვს უსაფრთხოების კლასიფიკაციას.
- უზრუნველყავით, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის პატიმრები თავიანთ ოჯახებთან ახლოს იხდიან სასჯელს და რომ არსებობს პროცედურები იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ოჯახთან რეგულარულ კონტაქტს.
- უზრუნველყავით ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა მამაკაცი და ქალი პატიმრებისათვის (იხ. ჩანართი 1), რაც მოიცავს მდედრობითი სქესის ექიმის ხელმისაწვდომობას ქალი პატიმრებისათვის და რეპროდუქციულ ჯანდაცვას, ასევე დამოუკიდებელი ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურებას.

- უზრუნველყავით, რომ ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანდაცვის მოთხოვნილებები ასევე აღიარებული და დაკმაყოფილებულია.

გენდერულ ნიადაგზე ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება

- შეიმუშავეთ ქცევის კოდექსები, სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალის მიერ ჩადენილ სექსუალურ შევიწროებასთან, დისკრიმინაციასა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობასთან დაკავშირებით, ასევე მექანიზმები კონფიდენციალური შეტყობინებისათვის.
- შეიმუშავეთ კანონმდებლობა, პროტოკოლები და პროცედურები პატიმართა შორის გენდერულ ნიადაგზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის, რაც მოიცავს პრევენციულ და სადამსჯელო ღონისძიებებს, ასევე პროტოკოლებს მსხვერპლებზე მზრუნველობისა და გადამისამართებისთვის (იხ. ჩანართი 2).
- უზრუნველყავით შესაბამისი და სათანადო უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის არსებობა, რათა მოხდეს რეაგირება გენდერული თვალსაზრისით მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა სექსუალური ძალადობა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის სხვა ფორმები.
- შექმენით ნულოვანი ტოლერანტობის კულტურა საპატიმროების პერსონალის მიერ ჩადენილ სექსუალურ შევიწროებასთან, ძალადობასა და მიუღებელ ქცევასთან დაკავშირებით, განახორციელეთ პატიმართა უფლებების პატივისცემის კულტურის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რაც მოიცავს ისეთ უფლებებს, როგორიცაა მეუღლეთა ვიზიტები, მათი სქესის, სექსუალური ორიენტაციის თუ ეთნიკურობის მიუხედავად.

ზედამხედველობისა და გასაჩივრების მექანიზმები

- ეროვნულ დონეზე შიდა და გარე ზედამხედველობის მექანიზმებისა და ორგანოების შექმნა, რაც მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტირების სისტემებს, ნათლად განსაზღვრულ ანგარიშგებასა და დოკუმენტაციას:
  - მამაკაცი და ქალი ინსპექტორებით დაკომპლექტებული ინსპექტირების ჯგუფები, ასევე ინსპექტორები, რომელთაც ექსპერტული ცოდნა გააჩნიათ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა მოპოვებული იქნას ყველა პატიმრის ნდობა და მოხდეს ადექვატური რეაგირება ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ძალადობა გენდერულ ნიადაგზე.
  - ჯანდაცვის სპეციალისტთა ჩართვა ინსპექტირების ჯგუფებში, რათა საპატიმროებში არსებული პირობები და პროცედურები შეფასდეს.

- გენდერულ საკითხებზე რეაგირების მაღალი დონის მქონე შიდა გასაჩივრების მექანიზმების შექმნა:
  - უზრუნველყავით, რომ საჩივრების წარდგენის პროცედურები ხელმისაწვდომია, რაც შეიძლება კონფიდენციალურია და რომ პატიმრები დაცულნი არიან საჩივრის გამო დასჯისაგან.
  - საჩივრების დამოუკიდებლად განხილვა, რათა დავიცვათ მამაკაცი და ქალი პატიმრები ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან და ასევე დავიცვათ საპატიმროების პერსონალი ყალბი ბრალდებებისაგან.
  - უზრუნველყავით, რომ წერაკითხვის უცოდინარ პატიმრებს ასევე სრულად შეუძლიათ გაიგონ და გამოიყენონ საჩივრების მექანიზმები.

ჩანართი 2:

საპატიმროებში გაუპატიურების შემთხვევების აღმოფხვრა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, არასამთავრობო ორგანიზაცია სახელწოდებით „შეაჩერეთ პატიმართა გაუპატიურებები“ წლების განმავლობაში ახორციელებს კამპანიას ძალადობის ამ ტიპის წინააღმდეგ. 2003 წელს საკანონმდებლო დონეზე იქნა დამტკიცებული „საპატიმროებში გაუპატიურების აღმოფხვრის აქტი“. აღნიშნული კანონი მოითხოვს ნაციონალური სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას ციხეებში გაუპატიურების შემთხვევების შესახებ, სახელმძღვანელო წესების შემუშავებას შტატებისათვის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პატიმართა გაუპატიურების პრობლემები, შესაბამისი კომისიის შექმნას, რომელიც ყოველწლიურ მოსმენებს გამართავს და გრანტების გამოყოფს შტატებისთვის ამ პრობლემასთან ბრძოლის მიზნით. სიტუაციის შეფასება იმ პირველი სამი წლის განმავლობაში, რაც აქტის მიღების შემდეგ გავიდა, გვიჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს იმ სამუშაოს მსვლელობაში, რომელიც მიმართულია საპატიმროებში გაუპატიურების შემთხვევათა რაოდენობის შემცირებაზე, შემდეგი ღონისძიებების საშუალებით:

- პოლიტიკების შემუშავება (და არა საიდუმლოდ შენახვა და უარყოფა)
- პრევენცია (პატიმართა უფრო გონივრული განთავსების, სივრცის ნაკლები გადატვირთულობისა და პატიმართა განათლების გზით)
- გამოძიება და დასჯა
- მომსახურება მსხვერპლთათვის
- თანამშრომელთა ტრენინგი
- თანამშრომლობა არასაპატიმრო სტრუქტურებთან

ტრენინგი გენდერის საკითხებზე

გამართეთ ტრენინგი გენდერის საკითხებზე საპატიმროების მთელი პერსონალისთვის, ისეთი თემების ჩათვლით, როგორიცაა:

- ადამიანის უფლებები პატიმარებისთვის და საპატიმროში მყოფი მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგოების შესაბამისი მოპყრობა.
- პრევენცია და შესაბამისი რეაგირება გენდერულ ნიადაგზე ძალადობის მიმართ, მამაკაცების გაუპატიურების ჩათვლით.
- ჯანდაცვა და ჰიგიენა მდედრობითი სქესის პატიმრებისთვის, რაც ისეთი ნივთებით უზრუნველყოფას მოიცავს, როგორიცაა ჰიგიენური საფენები და ადექვატური საპირფარეშო.
- პატიმართა დაუცველი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები, როგორებიც არიან ორსული ქალები და იმ ჩვილთა დედები, რომლებიც ასევე საპატიმროში ცხოვრობენ.
- მდედრობითი სქესის პატიმართა საჭიროებები გათავისუფლების წინ და გათავისუფლებისას, რაც მოიცავს უსაფრთხო საცხოვრებელ ადგილს, მხარდაჭერას ოჯახთან კვლავ შეერთების მიზნით და პროფესიულ განათლებას.

ჩანართი 3:

სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა

იემენში, ქალთა ნაციონალური კომიტეტი ხელს უწყობს დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებებ პირებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამართალი ქალებისთვის. ბოლო დრომდე, ქალ პატიმრებს, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს, საპატიმროს დატოვება ეკრძალებოდათ, თუ მათ მამრობითი სქესის მეურვე არ მოაკითხავდა. ქალთა ეროვნულმა კომიტეტმა ზეწოლა განახორციელა შინაგან საქმეთა სამინისტროზე და აღნიშნული წესი შეიცვალა. „იემენელ ქალთა კავშირს“ 36 მოხალისე ადვოკატი გააჩნია, ვინც სასამართლოებსა და პოლიციის განყოფილებებში უფასო იურიდიულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საპატიმროში მყოფი ღარიბი ქალებისთვის. მათ მიერ გაწეული იურიდიული დახმარების შედეგად, 2004 და 2005 წლებში 450 მდედრობითი სქესის პატიმარი იქნა გათავისუფლებული.[2]

[2] *„ოქსფამი“,* „იემენის პროგრამის მიმოხილვა“.
http://oxfam.org.uk/what_we_do/where_we_work/yemen/programme.htm

გაზარდეთ ქალებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა

- გაზარდეთ საპატიმროების მდედრობითი სქესის პერსონალის სამსახურში აყვანის, შენარჩუნებისა და დაწინაურების მაჩვენებლები.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყავით ქალი პატიმრებისათვის ისეთი მომსახურების მიწოდება, როგორიცაა პროფესიონალური და კონფიდენციალური კონსულტირება (იხ. ჩანართი 3).
- ჩართეთ სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციები, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროცესებში:
  - განავითარეთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისადმი, პარლამენტთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან მუშაობის გზით.
  - ითანამშრომლეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა ინფორმირებულობის დონე ამაღლდეს და შიდა შესაძლებლობები განვითარდეს სასჯელაღსრულების სისტემაში გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებით.
  - განავითარეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები და პოტენციალი, რათა სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგი განხორციელდეს გენდერული თვალსაზრისით.

ინსტრუმენტში №5 ასევე მოცემულია...

- მაგალითები და მითითებები გენდერულ საკითხებზე რეაგირების მაღალი დონის მქონე ინსპექტირებისა და საჩივრების პროცედურებისათვის
- მოსაზრებები საპატიმროებში ვიზიტების ორგანიზების გასაუმჯობესებლად
- ადამიანების ღირსების დაცვა სასჯელაღსრულების სისტემის პირობებში
- 12-ეტაპიანი პროტოკოლი სექსუალური ძალადობის ბრალდებებზე რეაგირებისა და მათი გამოძიებისათვის
- ორსული ქალების და ჩვილთა დედების საჭიროებების დაკმაყოფილება

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომ კონტექსტებში, სასჯელაღსრულების სისტემის ხელახლა მშენებლობა ხშირად აღიქმება ხოლმე როგორც დაბალი პრიორიტეტი, რეკონსტრუქციის სხვა საჭიროებებთან შედარებით. აღნიშნულ კონტექსტში, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროცესში გენდერული საკითხების ჩართვას ხშირად ადექვატური ყურადღება არ ექცევა და შესაბამისი მხარდაჭერა არ ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც სახელმწიფოს აკონტროლებს, ესმოდეს გენდერულ საკითხებზე რეაგირების სათანადოდ განმახორციელებელი საპატიმრო დაწესებულებების არსებობის საჭიროება.

გამოწვევები გენდერულ საკითხთა ინტეგრირებისას

- საპატიმროებს შესაძლოა ძალიან უარყოფითი იმიჯი ჰქონდეთ მოსახლეობაში, რაც გამოწვეულია სასამართლოზე გვერდის ავლით დაკავების, გაუპატიურების, წამებისა და სიკვდილით დასჯის შემთხვევების შედეგად.
- საპატიმროების წარსულში არსებული სისტემა შესაძლოა დისფუნქციური იყო, კანონის უზენაესობის პრინციპები შესაძლოა არ გამოიყენებოდა და გენდერული თანასწორობაც უცნობი ცნება იყო. ასევე შესაძლებელია, რომ საპატიმროებს პოლიცია ან სამხედრო უწყება მართავდა, რაც დადებით პრაქტიკას ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების თვალსაზრისით.

შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრირებისათვის

- ხელახალმა მშენებლობამ შესაძლოა მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ მხარი დაეჭიროს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ნაკლებად ძალადობრივი იქნება, გენდერულ საკითხებზე უფრო მეტად მოახდენს რეაგირებას და მეტ ნდობას დაიმსახურებს ხალხის მხრიდან.
- კონფლიქტის შემდგომმა გარემომ შესაძლოა მოგვცეს შესაძლებლობა რომ აღრიცხვის და იდენტიფიცირების პროცესი გავმართოთ, რათა იმ პიროვნებათა ზუსტი რაოდენობა და ვინაობა დადგინდეს, ვინც სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობს, რასაც შეფასებისა და შემოწმების პროცესი მოჰყვება იმ თანამშრომლების იდენტიფიცირების მიზნით, ვინც, სავარაუდოდ, ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევები ჩაიდინა.

შეკითხვები სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისთვის

შეფასების განხორციელება ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმისთვის, რომ საწყისი წერტილების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება მოვახდინოთ გენდერის პერსპექტივების ინტეგრირებისთვის

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროცესში. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მაგალითები შეკითხვებისა გენდერული საკითხების შესახებ, რომელთა მოცვაც მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის წინასწარი შეფასების, მონიტორინგისა და შემდგომი შეფასების პროცესში.

- არსებობს თუ არა გენდერულ საკითხებზე რეაგირების მაღალი დონის მქონე კანონები, პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ადექვატურად აგვარებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გაუპატიურების შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?
- არსებობს თუ არა დამოუკიდებელი გარე ზედამხედველობისა და მონიტორინგის ორგანოები, რომლებიც სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის, გაუპატიურებისა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის სხვა შემთხვევების ეფექტურ მონიტორინგს ახორციელებენ?
- იძლევა თუ არა ჩანაწერთა წარმოების პროცესი დასკვნების გაკეთების საშუალებას სხვადასხვა ჯგუფების მოპყრობის შესახებ? დაჯგუფებულია თუ არა სტატისტიკა სქესის, ასაკის და ეთნიკურობის მიხედვით? ხელმისაწვდომია თუ არა აღნიშნული მონაცემები საზოგადოებისთვის, მედიისა და სამთავრობო ზედამხედველობის ორგანოებისათვის?
- არის თუ არა ჯანდაცვის მომსახურება ადექვატურად ხელმისაწვდომი როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის პატიმრებისათვის? რა პირობებია შექმნილი ორსული ქალების, ჩვილი ბავშვების და მათი დედების ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის?
- როგორ ხდება ოჯახთან კონტაქტის უზრუნველყოფა პატიმრობაში მყოფი მამაკაცებისა და ქალებისთვის?
- ახორციელებს თუ არა სასჯელაღსრულების სისტემა კონკრეტულ ინიციატივებს გენდერულ ნიადაგზე ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, როგორიცაა გენდერულ ნიადაგზე ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურების უზრუნველყოფა?
- გავლილი აქვს თუ არა სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალს ტრენინგი გენდერულ საკითხებზე, რაც მოიცავს სპეციფიკურ ტრენინგს სექსუალური შევიწროების, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ?
- პროპორციულად არიან თუ არა წარმოდგენილნი ქალები და მამაკაცები სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალის რიგებში? გააჩნიათ თუ არა ქალებს ზედამხედველობითი და მენეჯმენტის როლები? განხორციელდა თუ არა ინიციატივები იმისათვის, რომ

გაზრდილიყო ქალი თანამშრომლების სამსახურში აყვანის, შენარჩუნებისა და დაწინაურების მაჩვენებლები?

- ჩართულია თუ არა სამოქალაქო საზოგადოება სასჯელაღსრულების სისტემის შეფასების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის საქმიანობაში?

დამატებითი ინფორმაცია

წყაროები:

ბასტიკი – *ქალები საპატიმროებში: კომენტარი პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესახებ,* კვაკერთა გაეროს ოფისი, 2005წ.

OECD DAC - *OECD DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ – უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მხარდაჭერა,* 2007წ.

ICRC – „ნაწილი II: ქალები, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება“, *შეიარაღებული კონფლიქტების ზეგავლენის ქვეშ მყოფ ქალთა საჭიროებების დაკმაყოფილება,* 2004წ.

სასჯელაღსრულების სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრი – *ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მიდგომა საპატიმროების მართვისადმი,* 2002წ.

სასჯელაღსრულების სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრი – *სახელმძღვანელო შენიშვნები სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის თაობაზე,* 2005წ.

ურბანული ინსტიტუტი, *საპატიმროებში სექსუალური ძალადობის პრობლემების მოგვარება: ინოვაციური სტრატეგიების მიდგომებისა და მნიშვნელოვანი მომენტების ეროვნული სურათი, საბოლოო ანგარიში,* 2006წ.

ორგანიზაციები:

სასჯელაღსრულების სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრი – www.prisonstudies.org

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მართლმსაჯულების ასოციაცია (ინდოეთი) – www.prajaindia.org/prajainaction.html

ციხის საერთაშორისო რეფორმა – www.penalreform.org

კვაკერთა საბჭო ევროპულ საკითხებზე, ქალები საპატიმროებში – www.quaker.org/qcea/prison/index.html

„შეაჩერეთ პატიმართა გაუპატიურება“ – www.spr.org

ქალ პატიმართა ასოციაცია – www.wpaonline.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითება მოამზადა ანა კორნეევამ, UN-INSTRAW, მე-5 ინსტრუმენტის საფუძველზე, რომლის ავტორია სასჯელაღსრულების სისტემის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.